სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 6 - 20

გორი 21 05 2020წ.

„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე **აკადემიურმა საბჭომ**

დაადგინა:

1. „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის N09-57 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი" ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

2. კანცელარიის უფროსმა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი

1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი) ხორციელდება როგორც პროგრამის თითოეული კომპონენტის, ისე საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მათი აკადემიური მიღწევების მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე.
2. მონიტორინგს ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მონაწილეობით, რისთვისაც გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგები, სტუდენტების და პერსონალის გამოკითხვები, სილაბუსები, საჭიროების შემთხვევაში - სტუდენტთა საგამოცდო ნამუშევრები და სხვ.
3. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ერთერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი მონაცემების (სტუდენტებისა და ლექტორების გამოკითხვის შედეგები, სტუდენტების შეფასებები) მოპოვებისა და დამუშავების შესაძლებლობას.
4. სტუდენტთა შეფასებების ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს, როგორც აკადემიური მოსწრების საშუალო ქულას, ასევე (ორიენტირის სახით), გაუსის ნორმალურ განაწილებასთან შეფასების ქულათა განაწილების შედარებას, რაც შესაძლებელია განხორციელდეს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერული პროგრამის სპეციალური ანალიტიკური მოდულის საშუალებით.
5. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შეიძლება გაიცეს რეკომენდაციები პროგრამის კომპონენტში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის ან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების თაობაზე

(მაგალითად, სწავლება-სწავლის მეთოდების ცვლილება, შეფასების ფორმებისა და მეთოდების გადახედვა/ცვლილება, სასასწავლო კურსის შინაარსის გდახედვა, ტუტორინგი, სპეციფიკური წერითი თუ რაოდენობრივი უნარების განმავითარებელი კომპონენტების გაძლიერება და სხვ.).

6. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შედგენილ დასკვნაში უნდა მიეთითოს გამოვლენილი ნაკლოვანებები და უნდა აისახოს მათი აღმოფხვრისა და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები.
7. მონიტორინგის დასკვნა, სემესტრის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში, რეაგირების მიზნით ეგზავნება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს.
8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია მონიტორინგის შედეგები გაითვალისწინოს შესაბამისი სასწავლო კურსის განხორციელების ყოველწლიურ შეფასებაში და კონტროლი გაუწიოს მონიტორინგის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებას.